



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კალანდაძე ვლადიმერ ანდრიას ძე



ვ. კალანდაძე

კალანდაძე ვლადიმერ ანდრიას ძე (21.VI. 1921, თბილისი, – 19.XI. 1992, იქვე), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1975). საბაგრო ტრანსპორტის ფუძემდებელი საქართველოში. 1951 დაამთავრა სპი-ის მექანიკის ფაკ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო ინ-ტის სწავლული მდივანი (1958–60). მისი მონაწილეობით საქართველოში, მსოფლიოში პირველად, ტყვარჩელის ერთ-ერთ შახტზე გამოიყენა და დაინერგა მინისქვეშა სამგზავრო კიდული ბაგირგზა, რ-საც შემდგომში ხშირად იყენებდნენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი გამოცდილება გაიზიარეს რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა შახტებში.

ქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი გამოცდილება გაიზიარეს რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა შახტებში.

კ-ის სამეცნ. მოღვაწეობის მიმართულება შეეხებოდა სამგზავრო ბაგირგზების გამტარუნარიანობის გაზრდას, საიმედოობის ამაღლებასა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებას. კ. ითვლება სამგზავრო ბაგირგზების მდგრადობის თეორიისა და ბაგირგზების დეფექტოსკოპიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა და დაინერგა ბაგირგზებისათვის ინდუქციური კავშირისა და სიგნალიზაციის ორიგინ. აპარატურა, ფოლადის ბაგირებისა და ფოლადის მილების გაუმჯობესებული კონსტრუქციის დეფექტოსკოპები, ბაგირგზის მზიდი ბაგირის ბერკეტულ-ზამბარნიანი დამჭიმავი მოწყობილობები და სხვ.

კ. იყო II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. უშუალოდ მონაწილეობდა ბერლინის აღებაში. მიღებული აქვს 18 საბრძოლო ორდენი და მედლები. ავტორია 25 გამოგონებისა და მრავალი სამეცნ. ნაშრომის.

*თბზ.*: Колебания вагонов подвесных канатных дорог, Тб., 1973.

*ლიტ.*: მ ა ხ ა რ ა ძ ე ლ., ვლადიმერ კალანდაძის დაბადების 70 წლისთავის გამო, «მეცნიერება და ტექნიკა», 1993.

**თ. არსენაძე**

---